კარს მიღმა

ფენტეზის ჟანრის
თანამედროვე ქართული პოეზია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2013

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სემიოტიკის კვლევითი ცენტრი

კრებულში შესულია თანამედროვე ქართველ პოეტთა ლექსები, რომლებიც მიეკუთვნება ფენტეზის ჟანრს, ან შეიცავს ამ ჟანრისთვის დამახასიათებელ ელემენტებს.

სარედაქციო ჯგუფი:

მთავარი რედაქტორი: ცირა ბარბაქაძე

შემდგენელ-რედაქტორი: ნატო დავითაშვილი

რედაქტორები: ბელა წიფურია, ანა კორძაია-სამადაშვილი, ლევან ცაგარელი, თამარ ბერეკაშვილი

© 2013 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-177-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

ცისარტყელას მიღმა

უოცნებო არავინ მეგულება. ყველა ოცნებობს. სულაც არაა აუცილებელი, კაცი დღედაღამ ფერიებზე, კუდიანებზე, ელფებზე და გოლიათებზე ფიქრობდეს, მაგრამ ცოტა ჯადოსნური სამყარო ხომ ყველას გვაქვს, ზოგს – პაწაწინა კუნძული, ზოგს – თვალუწვდენელი სივრცე.

კარგი, კარგი ადგილებია. იქ მზე უფრო ანათებს, ველები უფრო მწვანეა, ბიჭები ძალიან მაგარი ბიჭები არიან და მე როგორც მახსოვს, ნაპირთან უამრავი ხომალდი ირწევა, იალქნები დაშვებულია, ჯერ არ გავდივართ, ჯერ აქ გვაქვს საქმე, ნავსაყუდელში...

იქით მოხვედრის რამდენიმე ხერხი ვიცი. ცოტა არ იყოს, რთული გზებია.

სარკეში გავლა მარტივად ჟღერს, მაგრამ სათანადო სარკე იშვიათია, კაცმა არ იცის, სადაა. ერთი ბიჭის ამბავი მსმენია, ყოვლად ფარჩაკი თეატრის ფოიეში აღმოუჩენია ძველი, მტვრიანი და ბრმა სარკე, და მას მერე აქეთ აღარავის უნახავს, სადღაც დაეხეტებაო თავის მელაკუდა გოგოსთან ერთად. როგორც ჰყვებიან, ბედნიერია. მე იმ სარკეს ჯერ ვერ მივაგენი.

ნაცადი ხერხია ცისარტყელას ქვეშ გარბენაც. თითქოს რა – აი, დგას, უზარმაზარი თაღია, ვერ აცდები, მაგრამ მე არ გამომივიდა. ბევრი ვირბინე, მაგრამ ვერ ვქენი. არადა, რა შესანიშნავი იქნებოდა!

მე არავინ გამომიარა, მეგზურობა არავინ შემომთავაზა, არც საკუთარ ქალაქში ამრევია გზა და ეს ოხერი ჩემი ქუჩაც არასოდეს დამხვედრია ცოტა, აი, სულ ცოტა სხვანაირი. ამიტომ ყველაზე გატკეპნილ გზას ვადგები ხოლმე, და მერწმუნეთ, ყოველთვის ამართლებს: წიგნს ვიღებ და ვშლი, და იწყება!

ოღონდ წიგნიცაა და წიგნიც. ეს სწორედ ასეთია. აი, ნახეთ და მიხვდებით, რას ვგულისხმობ. მე კი მანამდე გემბანზე ავალ, იმიტომ რომ ნაპირზე აღარაფერი გვესაქმება, და შორეულ, თბილ წყლებში ვიმოგზაურებ. ეგებ გადაგეყაროთ კიდეც. მე როგორც მახსოვს, იქით არაფერია შეუძლებელი.

ანა კორძაია-სამადაშვილი

აკოგიძე ნანა

***

ეს ბესიკი, ხარანაული,
რაღაცით ჩიტს ჰგავს:
შემოჯდება შენს ღობეზე და
თან არის, თან – არ არის.

გახედავ – კაცია და
სანამ მუხლებზე კაბას ჩამოიწევ,
გულისპირზე ხელს შეივლებ,
სადღაა –

ფრთების სწორებით და
ჩიჩახვზე ნისკარტის წმენდით გართული
ჩიტი ზის ღობეზე.

გაწბილებული მოისვამ ხელებს თეძოებზე,
მხრებზე – მოისინჯავ, ხომ ყველაფერი ადგილზე გაქვს,
იმ ჩიტკაცამ ხელს რაიმე ხომ არ გააყოლა.

გაიხედავ და ისევ კაცია...
გამოიხედავ და ისევ – ჩიტი...

ამასობაში შეიძლება ჩამოღამდეს,
თუ რამე არ იღონე,
თუ ხელი ჯოხს არ წამოავლე და
გამწარებულ-გაწბილებულმა, არ მოუქნიე...

მთავარია, ხელი არ მოგიხვდეს,
თორემ იმ ხელით ცომს ვეღარ მოზელ:
გაშლილ ხელისგულზე მეტაფორები ამოგივა,
როგორც – საფლავზე მრავალძარღვები,
და იმ სიცოცხლეზე ცეცხლივით მოგედება,
რომელიც თან არის, თან – არ არის...

დიანა ანფიმიადი

ჯუჯები

(ჩემი სკანდინავიური სიზმარი)

მივდივარ, თუმცა არ მინახავს,
პირველად ვხედავ
ჩვენი სახლის ქვეშ
საძირკველში
ამ ძველ მაღაროს,
კარი ვიწროა, როცა შევალ,
მოგიწევს ალბათ
მტვრითა და ქვიშით ამოავსო,
ქვა მიაყარო.

ცხელია ქურა,
შემიძლია რბენის სიჩქარეს
როგორც ველურ ცხენს,
მივაჭედო რკინის ნალები,
ან ნებისყოფის მტკიცე რკინა
თვითონ დავჟანგო,
არ მეტკინება –
ნელ-ნელა რომ მივინავლები.

ყურები, როგორც ღამურები,
ფრენას ლამობენ,
სჯობს ჯუჯა მჭედელს
სამუდამოდ მივალურსმინო,
მერე ვერცერთი სიტყვა გვერდით
ვეღარ ჩამივლის,
ვთქვა და მტკიოდეს,
მტკიოდეს და ვიჯდე,
ვუსმინო....

მერე გავიდეს შვიდი წელი
და გამახსენდე
და სარგამომძვრალ ჩითილივით
უცბად მოვეშვა –
ყველა მდინარე იქ იწყება,
სადაც მე ვზივარ
და ფეხებს ურცხვად ვატყაპუნებ
მღვრიე მორევში –

მერე ვბრუნდები,
აღარავინ მხვდება ნაცნობი
და აღარავის პატარძალი ძაძით ვირთვები.
და ალბათ ისევ ქვესკნელის გზას გამიყენებენ
ჯუჯები –
ჩემი საკუთარი ფეხის თითები.

მივდივარ, თუმცა არ მინახავს,
პირველად ვხედავ
ჩვენი სახლის ქვეშ
საძირკველში
ამ ძველ მაღაროს,
კარი ვიწროა, როცა შევალ,
მოგიწევს ალბათ
მტვრითა და ქვიშით ამოავსო,
ქვა მიაყარო...

კოსმოგონია

> მეგობრებს – ჩაის სახლის რიტუალის
> მონაწილეებს

შვილებმა ჭამეს მამის ხორცი,
სვეს მამის სისხლი
და თქვეს შვილებმა – კარგი იყო
(უცნობი მოციქულის სახარება 4.5.)

სულ მახსენდება,
ჩვენ, ყველანი, როგორ ვცხოვრობდით
კონგოს ნაპირას
ათასწლოვან სექვოიაში,
ჩვენ, ჩვენს სურვილებს, დიალოგებს
სარკე – სავარცხლებს
ყველას გვიტევდა ის ხე –
სახლი – საკვოიაჟი.
დაღამებისას
ცას ტოტების აკვანს ვურწევდით,
ხახუნის ძალით ინთებოდა
ყველა ფუღურო.
(არაფერია უკეთესი, ასეთ დროს იჯდე
და ხის მერქანზე ჩაძინებულ ხოჭოს უყურო)
– ყველა ცდა – არ თქვა – შავ ხვრელს აჩენს
– ლექსი – ოზონი
– ყოველი ლექსი შავ ხვრელს აჩენს
– ართქმა – ოზონი
– ყველა ცდა – არ თქვა – შავ ხვრელს აჩენს
– ლექსი – ოზონი

(აბა მე როგორ,
როცა გვქმნიდა,
ვერც მან მოგვზომა).

(ბუნებრივს, როგორც ავტობუსში ჩამოგეძინოს,
ასეთ დასასრულს მოვუგონებ ახლა ამ ამბავს –
– რომ ამ ნაოჭებს – სიბერისგან ამოჭმულ ფარდაგს,
მოვა მიწა და ამოავსებს ან მიალამბავს,
თვალებსაც (სათქმელს დავამთავრებ ბოლომდე ვიდრე)
შეგვიხორცებს და გადაგვიხვევს ბალახის ბინტით.)

ჩვენი ხე – დიდი სექვოია
როცა წაიქცა,
მიწა იძრა და ნიაგარამ
წყლები დაღვარა.
ცოტანი დავრჩით,
ღამე იყო,
ეძინა ყველას –

მიწამ შეირგო კაცის ხორცის მსუყე სამხარი...
(სულ მახსენდება, როცა თქვენი ფრაზები მომაქვს
ქოთნის ბალბად ან ბეგონიად, როცა ვახარებ).

– ყველა ცდა – არ თქვა – შავ ხვრელს აჩენს
– ლექსი – ოზონი
– ყოველი ლექსი შავ ხვრელს აჩენს
– ართქმა – ოზონი
– ყველა ცდა....
– ლექსი.....
– ყოველი....
– ართქმა....

როგორ მოვზომო?

მან თავი ასწია და გამოსცრა

(ორნი ზღვის პირას, ანუ დაცემულ ანგელოზთა ბალადა-ფენტეზი)

„და ზღვას პაოლო დედას აგინებს.“
ვ. გ.

მე თავი მომაბეზრა ყოველ თვე ეშაფოტმა,
ნახმარი სხეულების გამოცვლამ,
(გაჩერდი, რა გაცეკვებს ზღვავ, შენი დედა .....)
ამიტომ გადავწყვიტე წამოსვლა
და დიდი იმედი მაქვს, გამიგებს.

(მე თავი მომაბეზრა ყოველ თვე ეშაფოტმა)
უთხარი, სიკეთე და ამაგი
(გაჩერდი, რა გაცეკვებს ზღვავ, შენი დედა .....)
მე მისი მუდამ მახსოვს, ახლა კი
ჩემს კუთვნილ პენსიაში გავდივარ.

(მე თავი მომაბეზრა ყოველ თვე ეშაფოტმა)
მეყო რაც ვიწანწალე, ადვილი
(გაჩერდი, რა გაცეკვებს ზღვავ, შენი დედა .....)
შენც იცი, ეს არ არი, ნამდვილად, –
მავანთა სხეულებში ჩასახლდე,

(მე თავი მომაბეზრა ყოველ თვე ეშაფოტმა)
და იმათ, ახდენილ თუ ასახდენ
(გაჩერდი, რა გაცეკვებს ზღვავ, შენი დედა .....)
ოცნებებს რომ აცლიდე დასაყრდენს,
რადგანაც ბოროტებით პირთამდე

(მე თავი მომაბეზრა ყოველ თვე ეშაფოტმა)
აავსო, შთააგონო, ვითომდა
(გაჩერდი, რა გაცეკვებს ზღვავ, შენი დედა .....),
თუ მოკლავს, თუ გაძარცვავს, – ნახვამდის, –
უფალზე შურს იძიებს, ყველაზეც...

(მე თავი მომაბეზრა ყოველ თვე ეშაფოტმა)
და ბევრი შევაცდინე: ლამაზი
(გაჩერდი, რა გაცეკვებს ზღვავ, შენი დედა .....)
თუ ისე საშინელი, ვერ აღწერ.
და ყულფიც ბევრი მახსოვს კისერზე.

(მე თავი მომაბეზრა ყოველ თვე ეშაფოტმა)
ჯან-ღონეც აღარ მომდევს, ისეთი
(გაჩერდი, რა გაცეკვებს ზღვავ, შენი დედა .....),
მარტოდენ დაღლილობის მიზეზით,
ნუ მიწყენს, თამაშიდან გავდივარ.

მშვიდობით! დამივიწყებთ ადვილად!..

.....
და რადგან მომაბეზრა მე თავი ეშაფოტმა,
მოვედი, გეუბნები სამძიმარს
(ეს ბოლოც ჩავაბარე გამოცდა):
გაჩერდი, რა გაცეკვებს ზღვავ, შენი დედა მოკვდა, –
ბებერი ოკეანე ამოშრა!

შავი პეპლების მელანქოლია

(ბალადა)

ფაბულის ავტორი ანი მატისი

I

ჩემს ჩითის კაბებს რატომ იცვამ საწყალო ბერტრანდ?!
რატომ ითხუპნი პომადით ტუჩებს?!
ჩემს ჩითის კაბებს რატომ იცვამ საწყალო ბერტრანდ?!
ჩემი საყურე რად დაგაქვს მუჭით,
ან ჩემს სუნამოს რად ისხამ ოხრად?!

ჩემს ჩითის კაბებს ნუღარ იცვამ საწყალო ბერტრანდ,
ვერ დააბრუნებ, რაც უკვე მოხდა.